ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი - კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორები: საქართველოს სასამართლოს მოსამართლეები: ბ. ა., ზ. ძ., პ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.07.2015

საჩივრის რეგისტრაციის №058/15

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ნ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ნ.-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **მომართვის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2015 წლის 30 ივლისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას მომართეს საქართველოს სასამართლოს მოსამართლეებმა და მოითხოვეს ადვოკატ ი. ნ.-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვის ავტორთა განმარტებით, მოქალაქე ე. ს.-ის საკასაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის — შ. კ.-ის მიმართ განსახილველად რიგითობის წესით გადაეცა სასამართლოს მოსამართლეს, თ. თ.-ს. მოსამართლე თ. თ.-ს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო ე. ს.-ის №XXXX–XXX–XXXX საკასაციო საჩივარი რიგითობის წესით გადაეცა მოსამართლე ბ. ა.-ს. საქმის განმხილველი სასამართლო შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი სახით: თავმჯდომარე – ბ. ა., მოსამართლეები: ვ. რ., პ. ქ.. აღნიშნულის თაობაზეც ეცნობათ მხარეებს, ამასთან, ვინაიდან საქმეში

წარმოდგენილი იყო კასატორის განცხადება დავის შესაძლო მორიგებით დასრულების შესახებ, მხარეებს განესაზღვრათ ვადა (2015 წლის 11 ივნისამდე) მორიგების პირობებზე შესათანხმებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, განემარტათ, რომ გამოცხადდებოდა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა, ხოლო 2015 წლის 11 ივნისისათვის საქმის განმხილველი ერთ–ერთი მოსამართლე, ვ. რ. იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში.

1.3 მომართვის ავტორთა განმარტებით, სასამართლოს თანაშემწე 2015 წლის 11 ივნისს ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა №XXXX–XXX–XXXX საკასაციო საჩივრის მხარეებს — ე. ს.-ის წარმომადგენელს, ი. ნ.-ს და მოწინააღმდეგე მხარის, შ. კ.-ის წარმომადგენელს — რ. ა.-ს. მოსამართლის თანაშემწემ მოდავე მხარეებს აცნობა მოსამართლე ვ. რ.-ის შვებულებაში ყოფნის გამო განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის ცვლილებისა და მოსამართლე ბ. ა.-ის თავმჯდომარეობით, მოსამართლეების ზ. ძ.-ის და პ. ქ.-ის შემადგენლობით საქმის განხილვის შესახებ. შეტყობინების ადრესატებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ აცილება სასამართლო შემადგენლობის მიმართ.

1.4 მომართვის ავტორთა განმარტებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის 11 ივნისს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. ს-ის საკასაციო საჩივარი, მიიღო განჩინება საკასაციო საჩივრის არ დაკმაყოფილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

1.5 მომართვის ავტორთა განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების შესახებ მოდავე მხარეებს ეცნობათ 2015 წლის 12 ივნისს. 2015 წლის 19 ივნისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში დარეგისტრირდა განცხადება N3/XXXX უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ნ. გ.-ის სახელზე, რომლის ავტორია ე. ს.ის წარმომადგენელი, ადვოკატი ი. ნ.. ადვოკატი განცხადებაში აღნიშნავს, რომ მისი მარწმუნებლის, ე. ს.-ის მოწინააღმდეგე მხარე „შ. კ.-ის წარმომადგენელი – რ. ა. თავის მარწმუნებელსა და მოსამართლეს შორის არის შუამავალი, რასაც ვადასტურებ იმით, რომ სასამართლოს განხილვამდე მივიდა ე. ს.-ის ბინაში და განაცხადა, რომ ბინა გახდა შ. კ.-ის საკუთრება და ე. ს.-ის ოჯახი უნდა გამოსახლდეს ბინიდან. ამ ფაქტს ადასტურებენ მეზობლები.“

1.6 მომართვის ავტორთა განმარტებით, ადვოკატი პრეტენზიას გამოთქვამს მოსამართლე ბ. ა.-ის თანაშემწის, გ. ბ.-ის სატელეფონო შეტყობინების გამო, რომლითაც მას 11 ივნისს ეცნობა მოსამართლის შეცვლის შესახებ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მას არ ესმოდა ტრანსპორტში, თუ რას ეუბნებოდა მოსამართლის თანაშემწე. ადვოკატის განცხადების მიხედვით, მან ერთი საათის შემდეგ გადაურეკა თანაშემწეს, რომელმაც თითქოსდა აცნობა, რომ საქმე განხილული იყო და საკასაციო საჩივარზე ითქვა უარი.

1.7 მომართვის ავტორთა განცხადებით, ადვოკატის პრეტენზია ეხება იმას, რომ მოსამართლის შეცვლა საქმეზე მოხდა 10 წუთით ადრე. ადვოკატი განცხადებაში აღნიშნავს: „თუ მან არ იცის საქმის ვითარება, როგორ უნდა მოაწეროს ხელი გადაწყვეტილებაზე. დავრწმუნდი, რომ ეს აშკარა უკანონოა – საქმე არის ჩაწყობილი ამ მოსამართლის მიერ, რაზედაც დათანხმდნენ დანარჩენი მოსამართლეები. აქედან გამოვიტანე დასკვნა, რომ თქვენი მოსამართლეები: ბ. ა. და მისი შემადგენლობა არიან კორუმპირებულები, დაინტერესებულები არიან მარტო თავის ჯიბეებზე და არასამართლიან გამოტანილ კანონზე.

1.8 მომართვის ავტორთა განცხადებით, ადვოკატი განცხადებაში აღნიშნავს: „თქვენს გარშემო მუშაობენ მგლები, რომლებიც ფულის გულისთვის გაყიდიან ყველას და ყველაფერს!! იმედი მაქვს, რომ სტრასბურგის სასამართლო უფრო კანონიერად განიხილავს ს.-ის საჩივარს, ვიდრე „განთქმული“ თქვენი სასამართლო!“. მომართვის ავტორთა განმარტებით, ადვოკატი განცხადებაში გამოთქვამს მოსამართლის ღირსების და სასამართლოს ავტორიტეტის შემლახავ, დაუსაბუთებელ პრეტენზიებს. ი. ნ.-ის განცხადებაში გამოთქმული დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო პრეტენზიები ეფუძნება აშკარად დამახინჯებულ, შეცვლილ და გამოგონილ ფაქტობრივ გარემოებებს. ადვოკატმა განზრახ დაამახინჯა ფაქტები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ი. ნ.-ს საპროცესო კოლეგია გაესაუბრა 2015 წლის 28 სექტემბერს, რა დროსაც ადვოკატმა განმარტა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2015 წლის 19 ივნისს წარდგენილი განცხადება მისი შედგენილია. ადვოკატის განმარტებით, მის მიერ წარდგენილი განცხადების მიზანს წარმოადგენდა საკასაციო საჩივრის გაუქმება, ვინაიდან საქმე განხილული იყო უკანონოდ. ი. ნ. განმარტავს, რომ მისი განცხადების მიზანი არ იყო მოსამართლეებისთვის შეურაცხყოფის მიყენება და მას შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია. როდესაც ადვოკატს დაურეკა სასამართლოს მოსამართლის თანაშემწემ, მან სთხოვა გ. ბ.-ეს, რომ ტრანსპორტით მგზავრობდა, არ ესმოდა მისი ხმა და გადაურეკავდა, როდესაც გადარეკვისას შეატყობინეს, რომ საქმე განხილული იყო და საკასაციო საჩივარზე ეთქვა უარი. ადვოკატის განცხადებით, საქმის განმხილველი მოსამართლე არ იყო ინფორმირებული განსახილველი საქმის გარემოებებზე, ისე მოაწერა ხელი გადაწყვეტილებას და მან განცხადებაში მხოლოდ სიმართლე დაწერა. ადვოკატის განმარტებით, საჩივარში სადაოდ გამხდარი ფრაზების გამოყენების მიზანი იყო საკასაციო საჩივრის გაუქმება და განცხადებაში მან გარკვეული ვარაუდები გამოთქვა.

2.2 2016 წლის 10 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მისი რეაქცია გამოიწვია საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც მან არ ჩათვალა კანონიერად, გარდა ამისა, მას საკასაციო გადაწყვეტილება დღემდე არ მიუღია.

2.3 ადვოკატის განმარტებით ,,მგლების ხროვა“ გამოიყენა სტატიიდან, რომელშიც საუბარი იყო საქართველოს სასამართლოს თავმჯდომარის ნ. გ.-ის გარშემო არსებული პრობლემების თაობაზე.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ გარკვეულწილად დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ზედმეტი მოუვიდა, ვინაიდან გადწყვეტილების თაობაზე ინფორმირებისას აღელდა და დაწერა სადაო განცხადება, თუმცა მიაჩნია, რომ განცხადებაში გარკვეული ვარაუდების გამოთქმა მისი უფლებაა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 2015 წლის 02 ოქტომბერს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. ნ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა სასამართლოსადმი 2015 წლის 19 ივნისს მიმართულ განცხადებაში გაწერა რა შემდეგი სიტყვები: *„თქვენს გარშემო მუშაობენ მგლები, რომლებიც ფულის გულისთვის გაყიდიან ყველას და ყველაფერს..“ „თქვენი მოსამართლეები: ა. და მისი შემადგენლობა*

არიან კორუმპირებულები, დაინტერესებულები არიან მარტო თავის ჯიბეებზე“ დაარღვია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

3.3 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის სიტყვები: ”საქმე არის ჩაწყობილი ამ მოსამართლის მიერ, რაზედაც დათანხმდნენ დანარჩენი მოსამართლეები“ და “იმედი მაქვს, რომ სტრასბურგის სასამართლო უფრო კანონიერად განიხილავს ს. ჩ.-ის საჩივარს, ვიდრე „განთქმული“ თქვენი სასამართლო!“ წარმოადგენს ნეგატიურ განცდას სასამართლოსადმი. შეიძლება ის არ არის საადვოკატო საქმიანობის ნაწილი, თუმცა მისი შეზღუდვა ეთიკის კომისიის მიერ უპირისპირდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის ფუნდამენტურ უფლებას და ასევე არ არის იმდენად მძიმე, რომ შეილახოს სასამართლოს ინტერესები. სიტყვები: *„საქმე არის ჩაწყობილი“* და *„განთქმული სასამართლო“* უფრო მეტად წარმოადგენს რიტორიკულ და სარკაზმულ კონტექსტს, რადგან მისი შინაარსი არ წარმოადგენს მატერიალურს, ფაქტობრივს, უფრო მეტად აბსტრაქტული და პათეტიკური ფორმით არის მოცემული, რის გამოც ისინი ვერ იქნებიან ადვოკატის პროფესიულ-არაეთიკური ქცევის საფუძველი. შესაბამისად ადვოკატ ი. ნ.-ის მიერ 2015 წლის 19 ივნისის განცხადებაში გამოყენებული ფრაზების აღნიშნული ნაწილი დისციპლინური დევნის საფუძველი ვერ გახდება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფატობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:
მომართვის ავტორთა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატმა 2015 წლის 18 ივნისს საქართველოს სასამართლოს თავმჯდომარისადმი მიმართულ განცხადებაში გაწერა შემდეგი სიტყვები: *„თქვენს გარშემო მუშაობენ მგლები, რომლებიც ფულის გულისთვის გაყიდიან ყველას და ყველაფერს..“ „თქვენი მოსამართლეები: ა. და მისი შემადგენლობა არიან კორუმპირებულები, დაინტერესებულები არიან მარტო თავის ჯიბეებზე.“*

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი ადვოკატ ი. ნ.-ის 2015 წლის 18 ივნისის განცხადება
2. განხილვის კოლეგიის 2016 წლის 10 ივნისის სხდომის ოქმი

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. ნ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ი. ნ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტები: ,,ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“; ,,არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

6.2 ადვოკატი, როგორც პირთა კანონიერი ინტერესების გამტარებელი და უფლებების დამცველი, თავისი პროფესიით წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს. მოცემულ პროცესში ადვოკატის საქმიანობის ინსტრუმენტებს წარმოადგენს პროფესიული უნარები, ნორმატიული და არანორმატიული ხასიათის აქტები და ყველა ის იურიდიული საშუალება, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისკენ - მოხდეს კლიენტის ინტერესების გათვალისწინება/დაცვა.

6.3 ადვოკატს ისევე როგორც ყველა სუბიექტს აქვს კრიტიკის უფლება, თუმცა განსხვავებით სხვა სუბიექტებისაგან იგი წარმოადგენს სპეციალურ პირს და მისი ნებისმიერი წერილობითი და ზეპირი მიმართვა შერჩეული ფორმით შეფასდება მისი მიზნობრიობისა და სასამართლო სისტემაში არსებული წესების დაცვაში.

6.4 საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება შებოჭილია პროფესიული ეთიკური ვალდებულებებითა და ქცევის ნორმებით, რომელთა დაცვა სავალდებულოა ადვოკატებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Kyprianou v. Cyprus (განაცხადი: 73797/01, 15.12.2005) დაადგინა, რომ ,,ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს.“

6.5 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ ი. ნ.-ს გააჩნდა შესაბამისი კომპეტენტურობა და კომპეტენციაც თუ როგორ/რა ფორმით უნდა ემოქმედა კლიენტის ინტერესებისათვის. „თქვენს გარშემო მუშაობენ მგლები, რომლებიც ფულის გულისთვის გაყიდიან ყველას და ყველაფერს;“ „თქვენი მოსამართლეები: ა. და მისი შემადგენლობა არიან კორუმპირებულები, დაინტერესებულები არიან მარტო თავის ჯიბეებზე„” - ადვოკატის მიერ შედგენილი მიმართვის აღნიშნული ნაწილი არ ემსახურება არც პროფესიული საქმიანობის მიზანს და არც სამოქალაქო კრიტიკას. ადვოკატმა არ განახორციელა პროფესიული საქმიანობა, მეტიც ამ სიტყვებით მართლმსაჯულების სისტემა იმ ფორმით გააკრიტიკა, რომელიც არ გამომდინარეობს ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მიზნიდან (მოცემული არ წარმოადგენს კლიენტის კანონიერ ინტერესს), რის გამოც წარმოადგენს პროფესიულად შეუფერებელ ქცევას, სცილდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლებას, ლახავს სასამართლოს უფლებებს იყოს ნდობით აღჭურვილი საზოგადოების თითოეული სუბიექტის წინაშე.

6.6 წარმომადგენლობა, გამოხატული წერილობითი თუ ზეპირი ფორმით, კლიენტის ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნება საადვოკატო საქმიანობა. შესაძლებელია კორუმპირებულობის წოდება ზოგჯერ ბრალდებასაც წარმოადგენდეს თუ მასზე

არსებობს გონივრული ეჭვი და თუ მან კლიენტის კანონიერ ინტერესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა, შესაბამისად ადვოკატი მოქმედებს ფუნდამენტური, საყოველთაო უფლებისათვის - კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, რაც არის მისი პროფესიული ფუნქციის შემადგენელი ნაწილი ანუ დასდოს ბრალი მესამე პირს ან საკითხის გადამწყვეტი უწყების წარმომადგენელს მატერიალურ ან არამატერიალურ კორუფციაში, თვითნებობაში, რა შემთხვევაც განსაკუთრებული უნდა იყოს. უნდა არსებობდეს კავშირი ამ ბრალდებასა და ადვოკატის კლიენტის ინტერესების რეალიზაციასთან, უნდა არსებობს გონივრული ეჭვი, რომ სწორედ კორუმპირებულმა მოქმედებამ გამოიწვია კლიენტის ინტერესების უარყოფა. ამას ემატება სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების მნიშვნელოვნების და უმაღლესი სტატუსის მქონე უწყების წინაშე მოქმედება, რა დროსაც ადვოკატს სასამართლოს წინაშე ბრალდების ხასიათის ან კრიტიკული მოსაზრების დაფიქსირებისას სიფრთხილე მართებს. ადვოკატმა უნდა გაანალიზოს რამდენად ემსახურება ის კლიენტის ინტერესებს ამ დროს და ამ ფორმით. მოცემულ შემთხვევაში, მომართვის ავტორთა მიმართ ამ პუნქტში ნახსენები ფრაზები არ ემსახურება საადვოკატო საქმიანობის მიზანს, სცდება მას და არღვევს სასამართლოსთან მოქცევის პროფესიულ წესებს.

6.7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისცილინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.8 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკა და განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლომ გააკეთა სასამართლოს მომართვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვისას და გადაცდომასა და პასუხისმგებლობის ფორმას შორის ურთიერთშესაბამისად მიიჩნია ადვოკატ ი. ნ.-თვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატ ი. ნ.-ს დღეის მდგომარეობით დაკისრებული არ აქვს სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობა სხვა დისციპლინური გადაცდომისთვის, ის წლებია რაც საადვოკატო საქმიანობას ეწევა და ეს არის მის მიმართ პირველი საჩივარი, კონკრეტულ შემთხვევაში ის აღიარებს საკუთარ ბრალეულობას, თუმცა მიაჩნია, რომ მისი რეაქცია გამოიწვია საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებამ, ხოლო სასამართლოს მიუკერძოებლობისა და არაობიექტურობის შესახებ ეჭვისა და მოსაზრების გამოთქმა ადვოკატის უფლებაა და ამ თვალსაზრისით მისი ქმედებები არ გასცდა ეთიკის კოდექსის ფარგლებს.

6.9 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლის თანახმად, ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული

პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბადება პირადად.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, ამავე კანონის მე-5 მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33–ე მუხლით, 35–ე მუხლით, 38–ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №058/15 ადვოკატ ი. ნ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/